სკოლის მისია

ა(ა)იპ "ჩვენი სკოლა" ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიასთან თანაარსებობის პირობებშია. ჩვენი ზოგადსაგანმანათებლო სკოლა შექმნილია მხოლოდ მუსიკალური ნიჭით გამორჩეული ბავშვებისათვის, რომლებიც ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის მოსწავლეები არიან. აქედან გამომდინარე, "ჩვენი სკოლის" განსაკუთრებულობა მუსიკალური და ზოგადი საგნების ერთობლივ შეთანხმებულ სწავლებაში მდგომარეობს. რაც აისახება სკოლის სასწავლო საათობრივ ბადეში. "ჩვენი სკოლის" მისიაა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით მოსწავლეებში საგნობრივი ცოდნის, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარის ფორმირებაზე ზრუნვა, მათი კულტურული, სოციალური, პიროვნული და აკადემიური ზრდისთვის ჰარმონიული და ჯანსაღი სასწავლო გარემოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს სწავლება -სწავლის პროცესის ეფექტიანად წარმართვის საშუალებას, მოსწავლეებში ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების გამომუშავებას, მოქალაქეობრივი აზროვნებისა და პიროვნული თავისუფლების მაღალ ხარისხს.

ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი, სასწავლო პროცესში ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების, ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება,სემინარიასთან თანაარსებობის პირობებში მუსიკალური და ზოგადი საგნების საფუძვლიანი შესწავლა, პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა განაპირობებს იმ საბაზისო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც კურსდამთავრებულის კონსერვატორიასა ან სხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას უზრუნველყოფს.